ცხადდება კონკურსი
თსუ-ს სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის, ასევე,
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის მინიოს უნივერსიტეტში, ავეიროს უნივერსიტეტში და ევორას უნივერისტეტში (პორტუგალია) ევროკომისიის მიერ დაფინანსებული PEERS კრედიტ-მობილობის პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად

მინიოს უნივერსიტეტი PEERS საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში, კონსორციუმის ორ პარტნიორთან, ავეიროს უნივერსიტეტთან და ევორას უნივერსიტეტთან ერთად აცხადებს აპლიკაციის მიღებას ერთსემესტრიან გაცვლით პროგრამაზე.

განაცხადის გაკეთება პრიორიტეტების მიხედვით შესაძლებელია სამივე უნივერსიტეტზე!

მობილობის პერიოდი:

1. **სტუდენტების შემთხვევაში,** მობილობის დაწყება **2027 წლის თებერვალში ან სექტემბერში** იქნება შესაძლებელი (PEERS 2024-ის ფარგლებში მინიჭებული სტიპენდიანტებისთვის, მობილობა **2027 წლის თებერვალში** უნდა დაიწყოს).
2. **პერსონალის შემთხვევაში,** მობილობის განხორციელება შესაძლებელია 2026 წლის სექტემბრის შემდეგ ნებისმიერ დროს და მას შემდეგ, რაც ყველა საჭირო დოკუმენტი (სამუშაო გეგმა, მგზავრობა და დაზღვევა) სათანადოდ იქნება დამუშავებული.
3. **PEERS 2024-ის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა მობილობა 2027 წლის ივლისამდე უნდა განხორციელდეს.**

სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (მინიოს უნივერსიტეტი/თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- დოკუმენტების შეფასება (მინიოს უნივერსიტეტი/თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მინიოს უნივერსიტეტი)

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი უნდა შეავსონ შემდეგ ვებ-გვერდზე: https://uminho.moveonfr.com/locallogin/67d170d4f484e754ea054497/eng

- ✓ ***დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განაცხადის გაკეთების სახელმძღვანელო:*** https://alunos.uminho.pt/EN/students/mobilityprograms/Pages/PEERS_documentos.aspx

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პირადობის დამადასტურებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტის - პასპორტის (მისი არარსებობის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის) ასლი (სკანირებული pdf ვერსია);
2. CV-ს ევროპული ფორმატი **ინგლისურ** ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv;
1. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია);
2. სწავლების მიმდინარე საფეხურის ნიშნების ამონაწერი GPA-ის მითითებით (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია);
3. ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (FCE, IELTS, TOEFL - მინიმუმ B2 დონე, აღებული უკანასკნელი 6 წლის მანძილზე) ან თსუ-ს მიერ 2025/2026 სასწავლო წელს ორგანიზებული ინსტიტუციური ენის ტესტირების ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა);
4. ბაკალავრის დიპლომის სკანირებული ვერსია (მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურის

სტუდენტებისათვის);

5. ბაკალავრის დიპლომის დანართი GPA-ის მითითებით ინგლისურ ენაზე (მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის);
6. მაგისტრატურის დიპლომის სკანირებული ვერსია (მხოლოდ დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის);
7. მაგისტრატურის დიპლომის დანართი GPA-ის მითითებით ინგლისურ ენაზე (მხოლოდ დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის);
8. შევსებული სასწავლო ხელშეკრულება. ხელშეკრულების შესავსებად იხილეთ ინფორმაცია შემოთავაზებულ ბმულზე https://alunos.uminho.pt/EN/students/mobilityprograms/Pages/PEERS.aspx მოინიშნეთ თქვენთვის სასურველი საგნების ჩამონათვალი, კონსულტაცია გაიარეთ თქვენი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და მხოლოდ ამის შემდეგ შეავსეთ დოკუმენტის **პირველი გვერდი,** რომელიც შევსების შემდეგ უნდა დაამოწმოთ თქვენი ხელმოწერით და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის ხელმოწერით/ბეჭდით;
9. მოტივაციის წერილი ინგლისურ ენაზე არაუმეტეს 1 გვერდისა; *ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - Times New Roman, ფონტის ზომა - 12, line spacing – 1.0, ველები - 2სმ.*;
10. დოქტორანტურის საფეხურის აპლიკანტის შემთხვევაში: მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (Letter of Interest) (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ) ;
11. საკვლევი გეგმის მონახაზი;

განაცხადის გადაგზავნის ბოლო ვადაა: 2026 წლის 10 აპრილი!

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგი ელ-ფოსტის საშუალებით: outgoingmobility@tsu.ge